REGARDING THE UNSPECIFIED ISSUE REGARDING THE COMPOSITION OF THE GEORGIAN DIPLOMATIC MISSION TO FRANCE LED BY SULKHAN-SABA ORBELIANI

სულხან-საბა ორბელიანის ხელმძღვანელობით საფრანგეთში ქართული დიპლომატიური მისიის შემადგენლობის ერთი დაუზუსტებელი საკითხის შესახებ

ALEKSANDRE MGEBRISHVILI
Doctor of Philological Sciences,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

Abstract. It is of great significance to note that human trafficking, lamentably, has been a pervasive practice since antiquity. Georgia, unsurprisingly, was not exempt from this grim reality. This detrimental custom was particularly prevalent in Western Georgia and reached its most painful expression during the period of Ottoman dominion.

The roots of human trafficking were both political and economic in nature. A closer examination reveals that the local aristocracy played an active role in this exploitative enterprise, with it serving as one of their primary and crucial sources of revenue. Moreover, a substantial portion of the tribute owed to the Ottoman sultans encompassed the capture of prisoners, and any violation of this stipulation could have led to a renegotiation of the peace treaty between the nations.

The overwhelming majority of captive women were relegated to the Ottoman harems, while select groups of boys were dispatched to the Mamluk and Janissary corps, where they participated in the military campaigns of the Ottoman Empire.

One of the principal hubs for human trafficking in Western Georgia was Tskhum (modern-day Sukhumi), located in what is now the region of Abkhazia.

Society, driven by progressive ideals, consistently waged a fierce battle against this intractable and horrific affliction. Among the various methods employed by the clergy in their efforts to combat the traffickers, the use of "cursing" threats was notably prevalent—an excommunication-like punishment that, at the time, carried immense severity.

Even in the latter half of the 17th century, the political, social, and religious climate in Abkhazia and Samegrelo remained extraordinarily volatile. This precarious situation was exacerbated by internal conflicts, which only served to deepen the turmoil further.

The noble endeavor of spreading Christianity was spearheaded by Catholicos Grigol Lortkipanidze. As early as 1713, French missionary Jean Richard, who, alongside Sulkhan-Saba Orbeliani, visited the Catholicos of Abkhazia, G. Lortkipanidze, recorded in a letter to Tours: "The Patriarch of Samegrelo and other provinces accompanied us to the Black Sea. Previously, this Patriarch had expressed to me on numerous occasions his intention to join the Catholic Church. He

implored me to send missionaries to three regions, wishing to establish them in Samegrelo, Imereti, and Abkhazia, areas inhabited by pagans. His aim was to spread the faith among the Circassians and other nearby provinces, all of which were largely pagan. Mr. Saba was present during all our discussions and encouraged the Patriarch to send his aide, David Monazon, to accompany him, so that he could later join the missionaries I would dispatch."

The negotiations surrounding this matter progressed favorably in the initial stages, largely due to the vigorous efforts of Sulkhan-Saba Orbeliani, who met with King Louis XIV on two separate occasions.

Key words: Sulkhan-Saba Orbeliani, Catholicos of Abkhazia G. Lortkipanidze, Minister Tours, David Mghebrishvili, Sukhumi, Christianity, pagan beliefs – representations, Genatian bishops.

ალექსანდრე მღებრიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

აბსტრაქტი. ადამიანით ვაჭრობა, სამწუხაროდ, ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა გახლდათ უძველესი დროიდან. გამონაკლისს, ცხადია, არც საქართველო წარმოადგენდა. ეს მავნე ჩვეულება უფრო მეტად აქტიური იყო დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებულად მტკივნეული ოსმალთა ბატონობისას.

ადამიანით ვაჭრობას როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური საფუძველიც ქონდა. ფესვებს თუ ჩავუღრმავდებით თვალსაჩინოდ დავინახავთ, რომ ამ საქმიანობას აქტიურად ეწეოდა ადგილობრივი თავადაზნაურობა, უფრო მეტიც, ეს მათი შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. მეორეს მხრივ, ოსმალეთის სულთნებისთვის მისართმევი ხარკის მნიშვნელოვანი ნაწილი ტყვეების მირთმევასაც გულისხმობდა და ამ პირობის დარღვევას შესაძლოა ქვეყნებს შორის სამშვიდობო ზავის პირობების გადახედვა გამოეწვია.

ტყვე ქალთა უდიდესი უმრავლესობა ავსებდა ოსმალურ ჰარამხანებს, ხოლო ვაჟთა რჩეული ნაწილები იგზავნებოდა მამლუქთა და იანიჩართა კორპუსებში ოსმალეთის იმპერიის მიერ წარმოებულ საომარ მოქმედებებში ჩასართავად.

ადამიანებით ვაჭრობის კუთხით დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი გახლდათ ცხუმი (დღევანდელი სოხუმი). დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე.

პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება ყოველთვის განსაკუთრებული სიმკაცრით იბრძოდა ამ მოურჩენელი, საშინელი სენის წინააღმდეგ. ტყვეებით მოვაჭრეთა

მიმართ, საეკლესიო პირთა მხრიდან, გამოყენებულ ბრძოლის იარაღთა შორის, ხშირი იყო ე.წ. ,,შეჩვენების“ მუქარებიც, რაც იმ დროისთვის ძალზე მძიმე სასჯელს წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ XVII საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთსა და სამეგრელოს ტერიტორიაზე ძალზე რთული პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური ვითარებაა. ამ ვითარების მაპროვოცირებელი გახლდათ შიდა დაპირისპირებაც, რომელიც თანდათანობით კიდევ უფრო ამწვავებდა ვითარებას.

ქრისტიანობის გავრცელების კეთილშობილური იდეის განხორციელებას, სათავეში უდგას კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე. ჯერ კიდევ 1713 წელს ფრანგი მისიონერი ჟან რიშარი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანთან ერთად ორმოცი დღის განმავლობაში სტუმრობდა აფხაზეთის კათალიკოს გ. ლორთქიფანიძეს, საფრანგეთის მეფის მინისტრს, ტურსის სწერდა: ,,სამეგრელოსა და სხვა პროვინციების პატრიარქი შავ ზღვამდე წამოგვყვა. წინათ ამ პატრიარქმა ბევრი გზის გამომიცხადა კათოლიკე ეკლესიასთან შეერთების სურვილი. მთხოვა გამომეგზავნა მისიონერები სამი ადგილისათვის, რადგან უნდოდა დაეყენებინა სამეგრელოს, იმერეთსა და აფხაზეთში, წარმართების პროვინციაში. ამას აზრად აქვს სარწმუნოება განავრცელოს ჩერქეზთა შორისაც და აგრეთვე სხვა მახლობელ პროვინციებში, სადაც სულ წარმართები არიან. ბატონი საბა დაესწრო ყველა ჩვენს საუბარს და შეაგულიანა პატრიარქი, რომ მისთვის გაეყოლებინა თავისი შემწე დავით მონაზონი, რათა შემდგომ წამოჰყოლოდა იმ მისიონერებს, რომლებსაც მე გამოვგზავნიდი.“

ხსენებული საკითხის ირგვლივ მოლაპარაკებები, საწყის ეტაპზე, წარმატებით მიმდინარეობდა სულხან-საბა ორბელიანის აქტიური ჩართულობის წყალობით, რომელიც ორჯერ შეხვდა ლუი XIV - ს.

საკვანძო სიტყვები: სულხან-საბა ორბელიანი, აფხაზეთის კათალიკოსი გ. ლორთქიფანიძე, მინისტრი ტურსი, დავით მღებრიშვილი, სოხუმი, ქრისტიანობა, წარმართული რწმენა - წარმოდგენები, გენათელი ეპისკოპოსები.

შესავალი. საგულისხმოა, რომ ადამიანით ვაჭრობა, სამწუხაროდ, ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა გახლდათ უძველესი დროიდან. გამონაკლისს, ცხადია, არც საქართველო წარმოადგენდა. ეს მავნე ჩვეულება უფრო მეტად აქტიური იყო დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებულად მტკივნეული ოსმალთა ბატონობისას.

ადამიანით ვაჭრობას როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური საფუძველიც ქონდა. ფესვებს თუ ჩავუღრმავდებით თვალსაჩინოდ დავინახავთ, რომ ამ საქმიანობას აქტიურად ეწეოდა ადგილობრივი თავადაზნაურობა, უფრო მეტიც, ეს მათი შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. მეორეს მხრივ, ოსმალეთის სულთნებისთვის მისართმევი ხარკის მნიშვნელოვანი ნაწილი ტყვეების მირთმევასაც გულისხმობდა და ამ პირობის დარღვევას შესაძლოა ქვეყნებს შორის სამშვიდობო ზავის პირობების გადახედვა გამოეწვია.

„Above all, the practice of recruiting boys and young men from the Caucasus as military slaves, or mamluks, and training them as soldiers in households geared to that purpose appears not only to have survived but to have flourished in Ottoman Egypt. By the time of Bonaparte's invasion

of Egypt in 1798, in fact, the province's military elite was dominated by Caucasian, and above all Georgian, mamluks."[1]

ტყვე ქალთა უდიდესი უმრავლესობა ავსებდა ოსმალურ ჰარამხანებს, ხოლო ვაჟთა რჩეული ნაწილები იგზავნებოდა მამლუქთა და იანიჩართა კორპუსებში ოსმალეთის იმპერიის მიერ წარმოებულ საომარ მოქმედებებში ჩასართავად.

ადამიანებით ვაჭრობის კუთხით დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი გახლდათ ცხუმი[2] დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე.

პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება ყოველთვის განსაკუთრებული სიმკაცრით იბრძოდა ამ მოურჩენელი, საშინელი სენის წინააღმდეგ. ტყვეებით მოვაჭრეთა მიმართ, საეკლესიო პირთა მხრიდან, გამოყენებულ ბრძოლის იარაღთა შორის, ხშირი იყო ე.წ. ,,შეჩვენების" მუქარებიც, რაც იმ დროისთვის ძალზე მძიმე სასჯელს წარმოადგენდა.

ფ. თოდუას მიხედვით, ადამიანებით ვაჭრობას ძალზე ღრმა ფესვები ჰქონდა გადგმული. ამ ,,ხელობით" ძირითადად დასაქმებული იყო ადგილობრივი თავადაზნაურობა. როგორც ფაქტები მიუთითებენ, მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა ეკლესიის კუთვნილი ყმა-მამულების მიტაცებასაც. მაგალითად, სამურზაყანოში XVII საუკუნეში საეკლესიო ყმების გაყიდვამ თურქეთში სისტემატური ხასიათი მიიღო. საეკლესიო ყმების გაყიდვაში მხილებული იყვნენ სამურზაყანოს იმდროინდელი მფლობელები - ძმები ყვაპუ და ქერქია შერვაშიძეები და ყვაპუს შვილი ავთანდილი. საეკლესიო ყმებისა და ადგილობრივი მოსახლეობის გაყიდვით შერვაშიძეებმა ააოხრეს სამურზაყანოს მთელი რიგი სოფლები, რასაც მოჰყვა საეკლესიო ყმების რაოდენობის კატასტროფული შემცირება. იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა მთელი დასავლეთ საქართველო. მეტის ატანა არ შეიძლებოდა და აქედან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრებამ XVII საუკუნის შუახანებში შეიმუშავა ,,სამართალი კათალიკოზისა", რომელიც 23 მუხლისგან შედგებოდა.[3] დადგენილების თანახმად ტყვის გამყიდველი ვალდებული იყო გამოეხსნა გაყიდული ადამიანები და დაებრუნებინა ისინი ეპისკოპოსებისთვის. აფხაზეთის თავადებმა - ყვაპუ და ქერქია შერვაშიძეებმა, მიღებული კანონის თანახმად, პირობა დადეს, უკანონობას არ ჩაიდენდნენ, საეკლესიო ქონებას არ ხელყოფდნენ და საეკლესიო ყმებს არ გაყიდიდნენ.[4]

სამწუხაროდ, ადამიანებით ვაჭრობის ფაქტები გახშირდა XVII-XVIII საუკუნეებში. ,,ამასთან დაკავშირებით, იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა 1759 წლის 5 დეკემბერს დასავლეთ საქართველოს დიდ ფეოდალთა თანდასწრებით ჩაატარა საეკლესიო კრება. ამ კრებაზე აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის სასულიერო გამგებლებმა პირობა დადეს

[1] The Military Household in Ottoman Egypt, Jane Hathaway, International Journal of Middle East Studies, Vol. 27, No. 1 (Feb, 1995), pp. 39-52, Cambridge University Press.

[2] დღევანდელი სოხუმი.

[3] ა. კილასონია, ადამიანებით ვაჭრობა XVI-XVII სს. საქართველოში და ქართული საეკლესიო სამართალი, აფხაზეთის მოამბე, #5, თბილისი, 2001.

[4] ფ. თოდუა, მართლმადიდებლობისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ზოგიერთი საკითხი ქრისტიანულ აფხაზეთში, მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები (მოხსენებების კრებული), თბილისი, 2005, გვ. 283.

„ტყვის სყიდვის“ აკრძალვის შესახებ. საეკლესიო კრებამ ტყვის მყიდველი შეაჩვენა, საერო ხელისუფლებას კი დასჯით დაემუქრა.[5]

კვლევის მეთოდები. ტექსტში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: შედარება, ანალიზი, განზოგადება და სხვ. გამოყენებული შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი მოიცავს დასახელებულ თეორიულ მეთოდოლოგიებს.

შედეგები და მსჯელობა.

ჯერ კიდევ XVII საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთსა და სამეგრელოს ტერიტორიაზე ძალზე რთული პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური ვითარებაა. ამ ვითარების მაპროვოცირებელი გახლდათ შიდა დაპირისპირებაც, რომელიც თანდათანობით კიდევ უფრო ამწვავებდა ვითარებას.

რელიგიური თვალსაზრისით უკიდურესად დაამძიმა ვითარება წმინდა სტეფანეს ძვირფასი თვლებით შემკული ვერცხლის ფიგურის მოპარვის ბრალდებით (ყვაპუ შერვაშიძის ბრძანებით) ასზე მეტი მართლმადიდებელი სასულიერო პირის ამოხოცვის ფაქტმა.[6] გადარჩენილმა მცირე ნაწილმა გაქცევით უშველა თავს.

პროფ. ჯ. გამახარია გმაოთქვამს ვარაუდს, რომ ყვაპუ შერვაშიძის მიერ დახოცილი ,,ბერძენი“ სასულიერო პირები, უეჭველად ქართველი მმართველები იყვნენ. მათი ფიზიკური განადგურების ნამდვილი მიზეზი, ალბათ, ახლადმოვლენილი მმართველებისადმი (შერვაშიძეებისადმი) დაუმორჩილებლობა და დადიანებისადმი მხარდაჭერა იქნებოდა. შერვაშიძეებმა მიტაცებულ ტერიტორიაზე დადიანების მთავარი დასაყრდენი-სამღვდელოება, აგრეთვე თავადაზნაურობა გაანადგურეს.[7]

ამგვარად, ასზე მეტი ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირის ვერაგულმა მკვლელობამ დააცარიელა და გააპარტახა ეკლესია - მონასტრები. ქართველი სასულიერო პირების შერვაშიძეთა ტერიტორიაზე ყოფნის აკრძალვამ კი ფაქტობრივად შეაჩერა ქართული ეკლესიის ფუნქციონირება აფხაზეთის ტერიტორიაზე.

დახოცილი ან გაძევებული ქართველი თავადაზნაურობის, სასულიერო პირების და ზოგადად ქართველი მოსახლეობისაგან დაცლილ მამულებს თანდათან ავსებს აფსუათა ახლად ჩამოსახლებულთა ნაკადები. ზოგადად, XVII საუკუნის დამდეგი ერთ-ერთი იმ პერიოდთაგანი გახლავთ, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობს აფსუათა ჩამოსახლების პროცესი. ცხადია, როგორც უკვე ვთქვით, ეს ხდება იქ კიდევ შემორჩენილი ქართველი მოსახლეობის იძულებით განდევნის ან თურქეთში გაყიდვის ხარჯზე. ეს არის პერიოდი, როდესაც ინტენსიურად იწერება ქრისტიანული მართლმადიდებლური კერების მიზანმიმართული განადგურების და მიწის პირისაგან აღგვის ტრაგიკული ისტორია.

ასეთ ჟამს, აფხაზეთში განსაკუთრებულად პოპულარული ხდება წარმართული რწმენა - წარმოდგენები, ინტენსიურად ვრცელდება ისლამიც. მიუხედავად ამისა,

[5] ფ. თოდუა, მართლმადიდებლობისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ზოგიერთი საკითხი ქრისტიანულ აფხაზეთში, მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები (მოხსენებების კრებული), თბილისი, 2005, გვ. 284.

[6] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, ტფილისი, 1902, გვ. 208-209.

[7] ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბილისი, 2005, გვ. 266.

ადგილობრივი სამღვდელოება ყოველმხრივ ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას, ახალმოსახლე აფსუათა შორის ქრისტიანობის გავრცელების გზით, არსებული რთული ვითარების შემსუბუქებას.

ქრისტიანობის გავრცელების კეთილშობილური იდეის განხორციელებას, სათავეში უდგას კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე.[8] ჯერ კიდევ 1713 წელს ფრანგი მისიონერი ჟან რიშარი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანთან ერთად ორმოცი დღის განმავლობაში სტუმრობდა აფხაზეთის კათალიკოს გ. ლორთქიფანიძეს, საფრანგეთის მეფის მინისტრს, ტურსის სწერდა: ,,სამეგრელოსა და სხვა პროვინციების პატრიარქი შავ ზღვამდე წამოგვყვა. წინათ ამ პატრიარქმა ბევრი გზის გამომიცხადა კათოლიკე ეკლესიასთან შეერთების სურვილი. მთხოვა გამომეგზავნა მისიონერები სამი ადგილისათვის, რადგან უნდოდა დაეყენებინა სამეგრელოს, იმერეთსა და აფხაზეთში, წარმართების პროვინციაში. ამას აზრად აქვს სარწმუნოება განავრცელოს ჩერქეზთა შორისაც და აგრეთვე სხვა მახლობელ პროვინციებში, სადაც სულ წარმართები არიან. ბატონი საბა დაესწრო ყველა ჩვენს საუბარს და შეაგულიანა პატრიარქი, რომ მისთვის გაეყოლებინა თავისი შემწე დავით მონაზონი, რათა შემდგომ წამოჰყოლოდა იმ მისიონერებს, რომლებსაც მე გამოვგზავნიდი.“[9]

ხსენებული საკითხის ირგვლივ მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობდა სულხან-საბა ორბელიანის აქტიური ჩართულობის წყალობით, რომელიც ორჯერ შეხვდა ლუი XIV - ს. 1715 წელს რომმა დანიშნა აფხაზეთის კათოლიკოსის განკარგულებაში გასაგზავნი მისიონერი მღვდელმსახურების ახალი შემადგენლობა, რომელთა შენახვის ხარჯი საფრანგეთის სამეფო კარმა აიღო საკუთარ თავზე. ამ ახალი მისიონის გამოგზავნის შესახებ იმავე 1715 წლის 7 მაისს რომის პაპი კლიმენტი XI წერილით აცნობებდა გრიგოლ ლორთქიფანიძეს,[10] თუმცა ლუი XIV გარდაცვალების გამო ეს საკითხი, გაურკვეველი ვადით გადაიდო.

საგულისხმოა, რომ ჟან რიშარის მინისტრ დე ტორსისადმი მიწერილ ბარათში[11] მოხსენიებულია სასულიერო პირი, კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის თანაშემწე დავითი, რომელიც კათალიკოსის დიპლომატიური მისიით მიემგზავრება საფრანგეთში ჟან რიშართან და სულხან-საბა ორბელიანთან ერთად.

---

[8] **გრიგოლ** II (ლორთქიფანიძე) - აფხაზეთის (დასავლეთ საქართველო) კათოლიკოს-პატრიარქი 1696-1742 წლებში. აღადგინა საკათალიკოსოს დაცემული მეურნეობა, დაიბრუნა ოდიშის, გურიის სამთავროებსა და რაჭის საერისთავოში ფეოდალებისაგან მიტაცებული ზოგიერთი საკათალიკოსო მამული. საკათალიკოსოს შემოსავლის გაზრდის მიზნით, ადრე გაუქმებული ფულადი ბეგარის ნაცვლად, შემოიღო სანთლის ბეგარა. გრიგოლი იბრძოდა ტყვის სყიდვისა და მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ.

[9] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, ტფილისი, 1902, გვ. 313.

[10] ამ საკითხებთან დაკავშირებით ვრცლად იხ. ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბილისი, 2005, გვ. 298.

[11] ამ საკითხთან დაკავშირებით მ. თამარაშვილისგან განსხვავებული ვარაუდი აქვს პროფ ი. ტაბაღუას. მისი აზრით, სულხან-საბა ორბელიანს წერილი უნდა მიეწერა არა მინისტრ დე ტორსისადმი, არამედ გრაფ დე პონშარტურენისათვის (დეტალებისთვის იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1972, გვ. 162).

მისი სახელი იხსენიება ჟან რიშარის დე ტორსისადმი მიწერილ 1714 წლის წერილშიც, საიდანაც ჩანს, რომ კათალიკოსი საკუთარ თანაშემწეს ,,ძალიან ენდობა და დიდი იმედიც აქვს.“[12]

პატრიარქ გ. ლორთქიფანიძის მაღალი ნდობის მაჩვენებელი მისი თანაშემწე დავითის მიმართ ჩანს სულხან-საბა ორბელიანის მეფე ლუი მეთოთხმეტესათვის[13] წარდგენილ მოხსენებაში სადაც ნათქვამია, რომ: ,,ამ პატრიარქის აზრი ეს არის, რომ შეუერთდეს წმინდა საყდარსა და მისიონერებთან ერთად ეცადოს აფხაზების მოქცევას. ამის საბუთად, რომ ყოველსავე ამას გულწრფელად მთხოვდა, თან გამომატანა მონაზონი დავითი რომელსაც იგი უზომოდ ენდობოდა. ამან უნდა მოუყვანოს მას მისიონერები, რომლების გამოგზავნასაც მოელის მათის ხელმწიფობის გულკეთილობისგან.“[14]

როგორც ჩანს ეს ადამიანი პატრიარქ გრიგოლ ლორთქიფანიძესთან უაღრესად დაახლოებული, მისი ნდობით აღჭურვილი პირია, რომელიც პატრიარქის სახელით საუბრობს, მის წარმომადგენლად თან ახლავს საფრანგეთში სულხან-საბა ორბელიანს და აქტიურად არის ჩართული აფხაზეთის (განსაკუთრებით დღევანდელი გაგრის რაიონის) ტერიტორიაზე ქრისტიანობის შენარჩუნების და გავრცელების კეთილშობილურ საქმიანობაში.

პროფ. მ. პაპაშვილი ადასტურებს გრიგოლ ლორთქიფანიძესა და ხსენებულ დავითს შორის არსებულ მჭიდრო, მეგობრულ ურთიერთობას: „საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ის დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის თანაშემწე იყო და მას ძალიან ენდობოდა.“[15]

სამწუხაროდ, ამ დავითის ვინაობის შესახებ წყაროები უაღრესად ძუნწი ინფორმაციით შემოიფარგლებიან, თუმცა, პიროვნული თვისებების შესახებ გარკვეული ცნობების მიღება შესაძლებელია. „ირკვევა ისიც, რომ დავითი განათლებული და ნიჭიერი პიროვნებაა. ალბათ ამ უნარის გამო დაევალა მას ფრანგული ენის შესწავლა. უდავოა, იგი იზიარებდა სულხან-საბასა და კათალიკოს გრიგოლის გეგმებს საფრანგეთთან ურთიერთობის საკითხებში.“[16]

---

[12] ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბილისი, 2005, გვ. 299.

[13] **ლუი XIV დე ბურბონი** - (1638-1715), ცნობილი როგორც **ლუი დიდი**, ან **მეფე მზე,** ბურბონთა დინასტიის წარმომადგენელი. საფრანგეთის მეფე 1643 წლიდან 1715 წლამდე. ლუიმ თავისი დროის ყველა მნიშვნელოვანი ფრანგი პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული ფიგურა შემოიკრიბა. მისი მმართველობის პერიოდში საფრანგეთი ევროპის წამყვანი და უძლიერესი სახელმწიფო გახდა. ქვეყანა საგრძნობლად გაფართოვდა და ფაქტობრივად თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიებს გაუტოლდა. ფრანგულმა ენამ საერთაშორისო ენის მდგომარეობა მოიპოვა, რაც ნათელყოფდა საფრანგეთის ადგილს საერთაშორისო ურთიერთობებში. გარეშე მტრებთან ბრძოლებში ყველაზე დიდი წარმატება ესპანური მემკვიდრეობისათვის ომში გამარჯვება და ესპანეთის ტახტზე მისი შვილიშვილის, ფილიპე V აყვანა იყო. მეფის გარდაცვალების შემდეგ, 1715 წელს ტახტზე მისი შვილთაშვილი ლუი XV ავიდა.

[14] ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბილისი, 2005, გვ. 300.

[15] მ. პაპაშვილი, დასავლეთში სულხან-საბა ორბელიანთანერთად დავით მეგრელის დიპლომატიური მისიით გაგზავნის საკითხისთვის, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ჟურნ. „საქართველო, ევროპა-ამერიკა“, თბილისი, 1997, #1, გვ. 49.

[16] მ. პაპაშვილი, დასავლეთში სულხან-საბა ორბელიანთანერთად დავით მეგრელის დიპლომატიური მისიით გაგზავნის საკითხისთვის, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ჟურნ. „საქართველო, ევროპა-ამერიკა“, თბილისი, 1997, #1, გვ. 50.

არსებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დავითი აფხაზეთსა და სამეგრელოში ცნობილი, გავლენიანი და ავტორიტეტული ფიგურაა. პროფ. მ. პაპაშვილის აზრით, დავითი სამეგრელოდან არის[17], ვინაიდან ის ფრანგულ წყაროებში იხსენიება, როგორც „დავით მეგრელი“ („David Mingrelien“).[18] თუ ვივარაუდებთ, რომ ეს დავითი აფხაზეთში მოღვაწე მართლმადიდებელი მღვდელი - დავით მღებრიშვილია, ეს შეიძლება ბუნებრივადაც მივიჩნიოთ, ვინაიდან მისი ოჯახი ცხოვრობს სამურზაყანოში. მისი ვაჟი, იოსებიც იქ დაიბადა, დასავლეთ საქართველოს ისტორიულ მხარეში, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელიც, როგორც პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეებში ოდიშის (გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდის სამეგრელოს ძირითადი ნაწილის) ტერიტორიაზე. აქ, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მომავალში, ეგვიპტეში ჩაყვანილ ტყვედგაყიდულ პატარა იოსებს (დავითის შვილს) წყაროთა ნაწილი მოიხსენიებს, როგორც აფხაზეთიდან, ხოლო ნაწილი, როგორც სამეგრელოდან გატაცებულ ბავშვს.[19]

დავუბრუნდეთ დავითის ვინაობის საკითხს. პროფ. ი. ტაბაღუა ასახელებს რამდენიმე დავითს, რომლებიც მოღვაწეობენ იმ პერიოდის დასავლეთ საქართველოში და ბრძანებს: „ძნელია გადაჭრით თქმა, თუ რომელი მათგანი გაჰყვა ევროპაში სულხან-საბას.“[20]

ბუნებრივია, ნამდვილად რთულია ამის გადაჭრით თქმა, თუმცა, შესაძლებელია გამოითქვას ზოგიერთი ვარაუდი.

ამ რამდენიმე დავითის შესახებ პროფ. ი. ტაბაღუა წერს: „დავით ნემსაძე, გელათის მიტროპოლიტი, მოხსენიებულია 1736 წელს. ხელნაწერთა ანდერძსა და მინაწერებში მოხსენიებული არიან: დამკვეთი - მერაბ წულუკიძე... და მომხსენებელი მიტროპოლიტი დავით ნემსაძე.[21] 1745 წელს დასახელებულია „ცაგარელი-გენათელი“ დავით ნემსაძე, რომელიც გენათელად იჯდა გედეონის (1717) შემდეგ, დაახლოებით მე-18 საუკუნის 30-40-იან წლების მიჯნაზე.

---

[17] მ. პაპაშვილი, დასავლეთში სულხან-საბა ორბელიანთანერთად დავით მეგრელის დიპლომატიური მისიით გაგზავნის საკითხისთვის, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ჟურნ. „საქართველო, ევროპა-ამერიკა“, თბილისი, 1997, #1, გვ. 49.

[18] იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1972, გვ. 153.

[19] პატარა იოსებ მღებრიშვილის სამეგრელოს მკვიდრობაზე გაკეთებული აქცენტისთვის იხ. ა) https://qebedo.livejournal.com/1709471.html; ბ) З. Чапичадзе, История Грузии, Тбилиси, 2016, стр. 132. გ) https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/100842-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/2/ და სხვ.

[20] ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1972, გვ. 153.

[21] იხ. ხელნაწერთა აღწერილობა: ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა - სამეგრელოში, „ძველი საქართველო“, ნაწ. II, გვ. 92-93.

ერთ-ერთ საბუთში მოხსენიებულია: „...კაცთაგან არის მოწმე იმისა კვინიხაძე მიქელა, წინამძღვარი გაბრიელი, ნემსაძე დავით.“[22]

დავით ნემსაძის ვინაობა აქ აღნიშნული არ არის, მაგრამ ის ფაქტი, რომ იგი მოხსენიებულია წინამძღვრის შემდეგ და მთავარი დიაკონის წინ, მოწმობს, რომ ისიც კათალიკოსის მსახური მოხელე ან გავლენიანი ბერია. ყოველი შემთხვევისათვის, ამ საბუთებიდან ერთი რამ ცხადია: დავით ნემსაძე კათალიკოსის კარზე მყოფი პირია გელათში.

მღვდელმონაზონი დავითი (ყოფილი დომენტი) მოხსენიებულია 1716 წელს.[23] იმერეთის მეფის გიორგის მეუღლის როდამ დედოფლის მიერ გელათის მონასტრისადმი გაცემულ შეწირულობის საბუთებში ნათქვამია: „მე კარვიშვილს მდივანს დავითს დამიწერია და მოწამეთა ვარ ამისა.“[24]

ს-ს. ორბელიანი თავის დღიურებში სპეციალურად არ ეხება დავით მეგრელის ვინაობას. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ სულხან-საბას დავითზე ლაპარაკი ექნებოდა თავისი დღიურების პირველ ნაწილში, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არაა აღმოჩენილი.“[25]

დასახელებულ ნაშრომში ხსენებულ დავითთა შესახებ მსჯელობაში ბუნდოვნად გვეჩვენება ზოგიერთი დეტალი. მივყვეთ თავიდან.

დავით ნემსაძე - აფხაზეთის კათალიკოსი 1673-1696 წლებში.[26] 1673 წელს გედეონ ლორთქიფანიძის გელათიდან ხონში გადასვლის შემდეგ დ. ნემსაძე მცირე ხნით იკავებს გელათის საეპისკოპოსო კათედრას. მისი გენათელობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან იმავე 1673 წელს ხდება აფხაზეთის კათალიკოსი. „ქორონიკონსა: **ტ. ჲ. ა** : (1673) ამა ქორონიკონსა ქრისტიანე და ღთის მოყუარე კ[ათალიკო]ზი დავით ნემსაძე კ[ათალიკო]ზად დაჯდა.“[27]

რაც შეეხება მის გენათელობას XVIII საუკუნის 30-40-იან წლებში, აქ საგულისხმოა, რომ ამ პერიოდის გენათელ მღვდელმთავართა რიგი სხვაგვარად გამოიყურება, კერძოდ, „XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში მოღვაწე გენათელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი ასე ლაგდება: XVII-XVIII სს-თა მიჯნა (დაახლოებით 1698-1701 წწ.) - გაბრიელ გიორგის ძე ჭყონდიდელ-გენათელ-ჯუმათელი, 1701-1717/20 წლებში - ნიკოლოზი, 1717/20-1723 წლებში გააბრიელ ბეჟანის ძე დადიანი, 1723-1733 წლებში გედეონ ჩხეტიძე. რაც შეეხება 1717 წლით დათარიღებულ საბუთში ორი გენათელის - ნიკოლოზისა და გედეონის ერთდროულად მოხსენიებას, ეს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.“[28]

---

[22] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, თბილისი, 1921, გვ. 100.

[23] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, თბილისი, 1921, გვ. 117-118.

[24] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, თბილისი, 1921, გვ. 118.

[25] ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1972, გვ. 153.

[26] რ. მეტრეველი, საქართველოს მეფეები და პატრიარქები, თბილისი, 2010, გვ. 141.

[27] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. 2, ტფილისი, 1897, გვ. 488.

[28] ბ. გაფრინდაშვილი, რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) 1529-1820 წწ. (სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, 2014, გვ. 117.

გედეონ ჩხეტიძის შემდეგ გენათელი ხდება ეფთვიმე I (1736/38-1744), შემდეგ, მომდევნო ათწლეულებში გენათელად ჩანს ალექსანდრე მეხუთის ძე - იოსებ (იესე) ბაგრატიონი.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან გენათელი ეპისკოპოსი და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი დავით ნემსაძე გარდაიცვალა 1796[29] წელს, მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის გენათელ მღვდელმთავართა შორის ვერ იქნებოდა და აღნიშნული პერიოდის გენათელთა შორის არც სხვა, მსგავსი სახელის და გვარის მქონე, მღვდელმთავარი არ სახელდება.[30]

რაც შეეხება ი. ტაბაღუას მიერ მოხმობილ მეორე ცნობას იმის შესახებ, რომ ერთ-ერთ საბუთში მოხსენიებულია: „...კაცთაგან არის მოწმე იმისა კვინიხაძე მიქელა, წინამძღვარი გაბრიელი, ნემსაძე დავით.“[31] ს. კაკაბაძის შრომაში „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“ ნამდვილად არის 1700 წლით დათარიღებული შეწირულობის წიგნი, რომელშიც ვინმე ნემსაძე დავითია მოხსენიებული.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სახელით პიროვნება დასახელებულია მოწმედ, არ ჩანს მოქმედების დრო, არ ჩანს, რომ ის სასულიერო პირია და მოწმეებად ჩამოთვლილ სხვა პირთა შორის დასახელებულია ყველაზე ბოლოს, ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ არც ისე მნიშვნელოვან პერსონაზეა საუბარი. შესაძლებელია დასახელებული პიროვნება იყოს რიგითი სამოქალაქო პირი, ან იგულისხმებოდეს, რომ ეს ადამიანი (აწ გარდაცვლილი) წარსულში ინფორმირებული იყო რაიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

მაგალითად, ისეთი მაღალი რანგის, მნიშვნელოვანი პერსონა, როგორიც კათალიკოსი დავით ნემსაძე გახლდათ, ს. კაკაბაძის იმავე ნაშრომში[32] გამოქვეყნებულ, იმავე პერიოდის სხვა დოკუმენტებში გარდაცვალების შემდეგაც მოიხსენიებოდა ტიტულით „კათალოკოზი.“

ხსენებულთა გარდა, პროფ. ი. ტაბაღუა ასახელებს კიდევ ორ დავითს, რომლებიც ს. კაკაბაძის დასახელებულ ნაშრომში გამოქვეყნებულ დოკუმენტებში მოიხსენიებიან. ერთ-ერთი მათგანი ფიგურირებს მოწმედ 1716 წლით დათარიღებულ გარიგების წიგნში. დოკუმენტი მიუთითებს, რომ მისი დამწერი მღვდელმონაზონი დავითია, რომელიც საკუთარ თავზე წერს, რომ მისი ნამდვილი სახელია არა დავით, არამედ - დომენტი. როგორც ჩანს დავითად იგი იწოდა მღვდელ-მონაზვნად შედგომის შემდეგ.

გარდა ამისა, როგორც მივუთითეთ, დოკუმენტი 1716 წლით თარიღდება. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც დასასრულს უახლოვდება სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური ვიზიტი საფრანგეთში,[33] ლუი მეთოთხმეტის კარზე. საფრანგეთის მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ელჩობა ბრუნდება საკუთარ ქვეყანაში.

---

[29] ე. თაყაიშვილის ვარაუდით დავით ნემსაძე კათალიკოსად იყო 1661-1680 წლებში. იხ. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, ტფილისი, 1920, გვ. 40.

[30] ბ. გაფრინდაშვილი, რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) 1529-1820 წწ. (სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, 2014, გვ. 117.

[31] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, თბილისი, 1921, გვ. 100.

[32] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, თბილისი, 1921, გვ. 93.

[33] სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური ვიზიტი საფრანგეთში გრძელდებოდა 1713-1716 წლებში.

სავარაუდოდ, სულხან-საბას თანმხლები, კათალიკოს გრიგოლის ნდობით აღჭურვილი და მისი სახელით მოსაუბრე სასულიერო პირი დავითი ჯერ არ იქნებოდა საქართველოში დაბრუნებული. რთული წარმოსადგენია, რომ ამ რანგის ადამიანი, დაბრუნების შემდეგაც მაშინვე მოიცლიდა მსგავსი, შედარებით მეორეხარისხოვანი, საქმიანობისთვის.

პროფ. ი. ტაბაღუას მომდევნო ცნობა გახლავთ შეწირულობის წიგნი გელათის ტაძრის საბუთებიდან[34] (1720-1730 წ.წ.), სადაც ტექსტის ბოლოს მითითებულია: „მე კარვიშვილს მდივანს დავითს დამიწერია და მოწამეთა ვარ ამისა.“[35]

ადვილი შესაძლებელია, ეს და წინა დოკუმენტში ხსენებული დავით (დომენტი) ერთი და იგივე პიროვნება იყოს (ისინი ერთი და იმავე საქმიანობით არიან დაკავებული, თითქმის ერთი და იმავე პერიოდში), თუმცა ის, რომ კარვიშვილი მდივანი დავითი სასულიერო პირია, ეს დოკუმენტიდან არ ჩანს. სამაგიეროდ, ჩანს მისი პოზიცია. აღნიშნული პირი მდივნის ფუნქციას ასრულებს (საბუთების გადაწერა, შედგენა, მოწმეობა და ა. შ.).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის თანმხლები სასულიერო პირი დავით შესაძლოა ყოფილიყო არა რომელიმე ზემთ ხსენებულ პირთაგან, არამედ სხვა, იმ პერიოდში მოღვაწე კიდევ ერთი მღვდელი დავით მღებრიშვილი. ადამიანი, რომელიც ტრიალებს კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის გვერდით, მისი უახლოესი გარემოცვის ნაწილია, მკაცრად ატარებს კათალიკოსის პოლიტიკას და მისი უდიდესი ნდობით გახლავთ აღჭურვილი.

ასეთი უნდა ყოფილიყო პირი, რომელზეც ჟან რიშარი თავისი მინისტრისადმი მიწერილ წერილში წერდა: „ერთი ბერი სამეგრელოდან თან ახლავს ამ ბატონს (იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანი - ა. მ.) თანახმად ბრძანებისა, რომელიც მას აქვს მიღებული თავისი პატრიარქისგან (იგულისხმება გრიგოლ ლორთქიფანიძე - ა. მ.). მან უნდა წაიყვანოს აქედან დაბრუნებისას იმ მხარეში ფრანგი მისიონერები, რომლებსაც იგი მიცემს სამ სახლს, ერთს სამეგრელოში, მეორეს აბაშიძეებთან (იგულისხმება იმერეთი - ა. მ.) და მესამეს აფხაზეთში, რომლებიც წარმართები არიან, ჩერქეზების - ასევე წარმართების მეზობლები. ორმოცი დღის განმავლობაში ვიყავით ჩვენ ამ პატრიარქთან, იგი გონიერი ადამიანია და აქვს საუკეთესო თვისებები... მან გამომაყოლა ეს ბერი, რომელსაც ის ძალიან ენდობა, რათა შეისწავლოს ჩვენი ენა და ასწავლოს თავისი ენა იმ მისიონერებს, რომლებიც მას გამოჰყვებიან.“[36]

დავითს არასოდეს გაუცრუებია ნდობა და იმედი კათალიკოსისთვის. ბუნებრივია, გრიგოლის მოწინააღმდეგეთა ბანაკისთვის ის ყოველთვის მტრად და მიუღებელ ფიგურად განიხილებოდა, აკი ამიტომაც, კათალიკოსის გარდაცვალებისთანავე, გადაიქცა სასტიკი შურისძიების ობიექტად.

XVIII საუკუნის დამდეგიდან დასავლეთ საქართველოში უკიდურესად მცირდებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების გავლენა. უფრო მეტიც, 1722 წელს ქართლისა და იმერეთის სამეფოებს შორის დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობის გაჩენა

[34] ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1972, გვ. 153.

[35] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, თბილისი, 1921, გვ. 118.

[36] ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი, 1972, გვ. 164.

გახდა საბაბი თურქეთისთვის ბიჭვინთამდე ტერიტორია დაეკავებინა. დაკავებული პოზიციების შესანარჩუნებლად დაიწყო ისლამის ინტენსიური გავრცელება. საქართველოს კონკრეტული დახმარების ხელს ვერ უწვდის ვერც რუსეთი, ვერც ევროპა, შესაბამისად, ქართული მხარე მოკლებულია რაიმე ქმედითი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობას და მხოლოდ ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში იმყოფება.

ასეთ ვითარებაში ერთადერთ ნათელ წერტილს აფხაზეთის კათალიკოსი წარმოადგენს. გრიგოლ ლორთქიფანიძის ქრისტიანობის გაძლიერების კუთხით წარმოებული შეუვალი პოლიტიკა აღმოჩნდა ის უმთავრესი ძალა, რამაც რეგიონი სრული გამაჰმადიანების საფრთხისგან იხსნა.

კათალიკოსის პოლიტიკის ასეთივე მნიშვნელოვანი ხაზი გახლდათ აფხაზეთში ჩამოსახლებულ წარმართ აფსუათა მონათვლა და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა.

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძე ბოლომდე მართლმადიდებლური აღმსარებლობისა გახლდათ, იგი კათოლიკური სარწმუნოებისადმი ლოიალურობით გამოირჩევა. მიგვაჩნია, რომ ეს ლოიალურობა ქვეყანაში არსებული ძალზე რთული ვითარებით აიხსნება. ცხადია, რომ მას ევროპასთან დაახლოების და ამით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის სულიერი და შეიძლება ითქვას, ფიზიკური განადგურების საფრთხის თავიდან აცილება აქვს განზრახული.

აქ საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საფრანგეთთან კავშირის დამყარების დროს ის საუბრობს დასავლეთ საქართველოს სახელით და არა სამეფო სახლის რომელიმე წარმომადგენელი, რაც კათალიკოსის უაღრესად დიდ ავტორიტეტზე მიუთითებს.

ამ ავტორიტეტს და სიტყვის ძალას განამტკიცებდნენ მის ირგვლივ მყოფი, მისი ნდობით აღჭურვილი პირები. კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში გვყავს მისი თანაშემწე, სასულიერო პირი დავით, რომელიც პატრიარქის შეუვალი პოლიტიკის გამტარებელია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ჩვენს ვარაუდს, ხომ არ იყო ეს სასულიერო პირი, შემდეგში ის მართლმადიდებელი მღვდელი დავით, რომლის ოჯახიდანაც დაიწყო ეგვიპტის სულთნის და დიდი მოღვაწის ალი ბეი ალ-ქაბირის ისტორია?

ამგვარად, ალი ბეგ ალ-ქაბირის სახელს უკავშირდება დამოუკიდებელი ეგვიპტის ახალი ისტორია. რომელმაც მოწინააღმდეგეთა ჩამოშორების შემდეგ შეწყვიტა ოსმალეთთან ვასალური დამოკიდებულება, ქაიროდან გააძევა ოსმალო ფაშა, გაატარა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, საკუთარი სახელით მოჭრა მონეტა, აწარმოებდა დამოუკიდებელ მონეტარულ პლიტიკას.

ეს ის ალი ბეგი გახლავთ, რომელმაც თავისი მმართველობის პერიოდში დახვეწა და გაამკაცრა ცენტრალიზებული მართვის მექანიზმები და გადაშალა მამლუქთა დამოუკიდებელი ეგვიპტის ისტორიის სრულიად განსხვავებული ფურცელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

კილასონია, ა. (2001). ადამიანებით ვაჭრობა XVI-XVII სს. საქართველოში და ქართული საეკლესიო სამართალი, აფხაზეთის მოამბე, #5, თბილისი.

თოდუა, ფ. (2005). მართლმადიდებლობისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ზოგიერთი საკითხი ქრისტიანულ აფხაზეთში, მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები (მოხსენებების კრებული), თბილისი.

თამარაშვილი, მ. (1902). ისტორია კათოლიკობისა, ტფილისი.

გამახარია, ჯ. (2005). აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბილისი.

ტაბაღუა, ი. (1972). საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი.

პაპაშვილი, მ. (1997). დასავლეთში სულხან-საბა ორბელიანთანერთად დავით მეგრელის დიპლომატიური მისიით გაგზავნის საკითხისთვის, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ჟურნ. „საქართველო, ევროპა-ამერიკა“, თბილისი, #1.

ხელნაწერთა აღწერილობა: ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა - სამეგრელოში, „ძველი საქართველო“, ნაწ. II.

კაკაბაძე, ს.(1921). დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, თბილისი.

მეტრეველი, რ. (2010). საქართველოს მეფეები და პატრიარქები, თბილისი.

ქრონიკები. (1897). ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. 2, ტფილისი.

გაფრინდაშვილი, ბ. (2014). რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) 1529-1820 წწ. (სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი.

თაყაიშვილი, ე. (1920). საქართველოს სიძველენი, ტ. I, ტფილისი.

Чапичадзе, З. (2016). История Грузии, Тбилиси.

The Military Household in Ottoman Egypt. (Feb, 1995). Jane Hathaway, International Journal of Middle East Studies, Vol. 27, No. 1 pp. 39-52, Cambridge University Press.

https://qebedo.livejournal.com/1709471.html;

https://shorturl.at/8VIG1

REFERENCES

k'ilasonia, a. (2001). adamianebit vach'roba XVI-XVII ss. sakartveloshi da kartuli saek'lesio samartali, apkhazetis moambe, #5, tbilisi.

todua, p. (2005). martlmadideblobisa da adamianit vach'robis (t'repik'ingi) zogierti sak'itkhi krist'ianul apkhazetshi, martlmadidebloba apkhazetshi da erovnuli tvitident'ipik'atsiis sak'itkhebi (mokhsenebebis k'rebuli), tbilisi.

tamarashvili, m. (1902). ist'oria k'atolik'obisa, t'pilisi.

gamakharia, j. (2005). apkhazeti da martlmadidebloba, tbilisi.

t'abaghua, i. (1972). sakartvelo-saprangetis urtiertoba (XVIII sauk'unis p'irveli meotkhedi), tbilisi.

p'ap'ashvili, m. (1997). dasavletshi sulkhan-saba orbeliantanertad davit megrelis dip'lomat'iuri misiit gagzavnis sak'itkhistvis, evrop'isa da amerik'is sametsniero k'vleviti inst'it'ut'is zhurn. „sakartvelo, evrop'a-amerik'a“, tbilisi, #1.

khelnats'erta aghts'eriloba: ek. taqaishvili, arkeologiuri mogzauroba - samegreloshi, „dzveli sakartvelo“, nats'. II.

k'ak'abadze, s.(1921). dasavlet sakartvelos saek'lesio sabutebi, tbilisi.

met'reveli, r. (2010). sakartvelos mepeebi da p'at'riarkebi, tbilisi.

kronik'ebi. (1897). kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa, shek'rebili, kronologiurad dats'qobili da akhsnili t. zhordanias mier, ts'. 2, t'pilisi.

gaprindashvili, b. (2014). rach'a-imeretis saep'isk'op'osoebi (gelati, khoni, nik'orts'minda) 1529-1820 ts'ts'. (sadisert'atsio nashromi ist'oriis dokt'oris ak'ademiuri khariskhis mosap'oveblad), tbilisi.

taqaishvili, e. (1920). sakartvelos sidzveleni, t'. I, t'pilisi.

Chapichadze, Z. (2016). Istorija Gruzii, Tbilisi.

The Military Household in Ottoman Egypt. (Feb, 1995). Jane Hathaway, International Journal of Middle East Studies, Vol. 27, No. 1 pp. 39-52, Cambridge University Press.

https://qebedo.livejournal.com/1709471.html;

https://shorturl.at/8VIG1